განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნეს-ინფორმატიკა

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 6.04.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 424066977 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ბიზნეს-ინფორმატიკა |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ინჟინერიის მაგისტრი ინტერდისციპლინურ ინფორმატიკაში<br>040106 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული, პროგრამა აკრედიტებულია 02. 05. 2014 №96 გადაწყვეტილების შესაბამისად |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნანი არაბული. საქათველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თეა კასრაძე. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ზურაბ ბოსიკაშვილი. პროექტები: UMAS, ICMPD, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სალომე ონიანი. საქათველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამა, მისანიჭებელი კვალიფიკაციით "ინჟინერიის მაგისტრის ხარისხს ინტერდისციპლინურ ინფორმატიკაში" ხორციელდება 2015 წლიდან. პროგრამამ პირველი აკრედიტაცია გაიარა 2014 წელს.

პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება: სავალდებულო საგნები - 80 კრედიტი, არჩევითი საგნები - 10 კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი.

ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 4 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 4 მოწვეული ლექტორი. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა რაოდენობა წლების მიხედვით: 2015წ - 7 სტუდენტი, 2016წ - 5 სტუდენტი, 2017წ. - 4 სტუდენტი, 2018წ. - 4 სტუდენტი. კურსდამთავრებულთა რაოდენობა 5 სტუდენტი.

პროგრამის განხორციელებას ემსახურება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელიც სტუდენტს ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 5-6 აპრილს (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 28.03.2019 წლის N223 ბრძანება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ). ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა გაიმართა 2019 წლის 4 აპრილს, რა დროსაც მოხდა ჯგუფის წევრებს შორის პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება.

2019 წლის 5 იანვარს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; უნივერსიტეტის და პროგრამის ხელმძღვანელებთან; 2019 წლის 6 იანვარს შეხვედრები გაიმართა: აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ ლექტორებთან; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; სტუდენტებთან; კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან.

ვიზიტის დროს მოხდა სამაგისტრო აბსტრაქტების განხილვა. ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ლაბორატორიები.

ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასების პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტის მიხედვით მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
  - საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მისაღწევად აუცილებელია პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდეს ცვლილებები. გაძლიერდეს როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტები მათში ფინანსების დარგის აუცილებელი დისციპლინების დამატებით;
  - გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და დაემატოს საწარმოოს პრაქტიკა
  - სასწავლო კურსში „ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება (C++/C#)“ გაძლიერდეს პრაქტიკული ამოცანებით კონკრეტული საგნობრივი სფეროდან.
  - სასწავლო კურსში „ინფომაციის დაცვა და უსაფრთხოება“ დაემატოს ასიმეტრიული ალგორითმები.
  - სასწავლო კურსი „ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები“ თემატიკა განახლდეს ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტის შესაბამისად.
  - განახლდეს სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურა და დაემატოს ინგლისურენოვანი ლიტერატურა
  - უსდ-მ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო დისერტაციის ფარგლებში ჩატარებული კვლევების ხარისხს, გამოყენებულ კვლევის მეთოდებს და ლიტერატურას
  - უსდ-მ ხელი შეუწყოს სტუდენტებს კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში, ჰაკათონებსა და მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

▪ **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამა 2015 წლიდან ხორციელდება სჯსუ-ში. კრედიტაცია გაიარა 2014 წ. (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება 02.05.2014 №96). 2015 წლიდან პროგრამაში გათვალისწინებულ იქნა აკრედიტაციის ექსპერტთა ყველა რეკომენდაცია: ბიძნეს ადმინისტრირების მიმართულებით სასწავლო კურსები გაძლიერდა მაგისტრატურის დონის შესაბამისი საკითხებით; განახლდა ლიტერატურა; განახლდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| **1.1 პროგრამის მიზნები** |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანი ეფუძნება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას. პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი მიზნები, კერძოდ პროგრამის მიზანია: „კომპიუტერული ტექნოლოგიების სხვა დარგებთან, კერძოდ, - ბიზნესთან ინტეგრირებით ხელი შეუწყოს მაგისტრანტის სამეცნიერო ღირებულებების მქონე მკვლევარ-სპეციალისტად ჩამოყალიბებას ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ბიზნესის მიმართულებით, რომ მას ჰქონდეს დარგის უახლესი მიღწევების ღრმა და სისტემური ცოდნა და შეეძლოს დასახული ამოცანების პრაქტიკული განხორციელება“.<br>პროგრამა ითვალისწინებს რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ამზადებს |

| |
|---|
| კვალიფიციურ კადრებს, რომლებიც დასაქმებულნი არიან როგორც კერძო, ისე საჯარო და ბიზნეს სექტორში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ უნივერსიტეტის მისია;<br>○ უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან. |
| **რეკომენდაციები** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **1.2 პროგრამის სწავლის შედეგები** |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; |

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერის მიხედვით. შედეგები დაჯგუფებულია ძირითადი კომპეტენციების მიხედვით. აღწერილი შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და სამაგისტრო საფეხურს. აღნიშნულ პროგრამას გააჩნია 4 სწავლის შედეგი. პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულნი იყვნენ აკადემიური/მოწვეული პერსონალი, ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან და პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ერთად.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით;

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასება. პირდაპირი შეფასებისას გამოყენებულია: კრებსითი გამოცდა, რეფერატი, პროექტი. არაპირდაპირი შეფასებისას: პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება, დამსაქმებელთა გამოკითხვა, კოლეგების გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამის ხელმძღვანელი ქმნის მონიტორინგის ჯგუფს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და აკადემიურ პესონალთან ერთად და მათი ჩართულობით მოხდება სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულების შედარება, რასაც მოჰყვება ანალიზის პროცესი და შესაბამისი რეაგირება. სტუდენტები იღებენ გამოხმაურებას იმაზე, თუ რამდენად მიაღწიეს გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ყველა დაინტერესებულ მხარესთან ინტერვიუების შედეგები;.
- დამსაქმებლებთან შეხვედრის ანგარიში;
- სტუდენტების და  კურსდამთავრებულთა გამოკითხვები (კითხვარები).

| |
|---|
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| **2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** |
| --- |
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამაგისტრო პროგრამის „ბიზნეს-ინფორმატიკა“ მიხედვით პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს:<br>1. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ნებისმიერ სფეროში;<br>2. საერთო სამაგისტრო გამოცდების (B ტიპის) ზღვრის გადალახვა;<br>3. შიდა საუნივერსიტეტო სასპეციალიზაციო და ინგლისური ენის გამოცდა (დონე B2).<br>უცხოელი მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უცხოელი მოქალაქეებისათვის ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის აუცილებელი პირობაა ქართული ენის B1+/B2 დონეზე ცოდნა, რადგან პროგრამაზე სწავლა ხორციელდება ქართულ ენაზე. ამიტომ, უცხოელი მოქალაქეები წარმოადგენენ ქართული ენის B2 დონეზე ფლობის შესახებ სერთიფიკატს, ან აბარებენ გამოცდას ქართულ ენაში.<br>ექსპერტების მიერ ვიზიტის დროს ნანახი და გაცნობილი იქნა როგორც ინგლისური ენის ასევე სასპეციალიზაციო გამოცდის საკითხების/ტესტების ნიმუშები, სასპეციალიზაციო გამოცდის ტესტი კომბინირებულია და მოიცავს საკითხებს როგორც ბიზნესის ისე ინფორმატიკის მიმართულებიდან.<br>პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. გარდა აღნიშნულისა, პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის წესით, რასაც არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №10/ნ -„უმაღლესი დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და სჯსუ-ს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შესაბამისი დოკუმენტით.<br>ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა კონკურსანტმა დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია. ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა და ატვირთულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

| |
|---|
| ○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ ინტერვიუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან;<br>○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი www.sjuni.edu.ge |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ პროგრამაზე დაშვების პირობები გახდეს აბიტურიენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომი და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია განთავსდეს სასწავლო დაწესებულების ვებ-გვერდზე. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი |

| |
|---|
| კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS-ის) ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება აკადემიური ხარისხი **ინჟინერიის მაგისტრი ინტერდისციპლინურ ინფორმატიკაში,** 120 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:<br>• სასწავლო კომპონენტია - 90 კრედიტი, რომელიც მოიცავს:<br>- სავალდებულო სასწავლო კურსები -80 კრედიტი<br>- არჩევითი სასწავლო კურსი - 10 კრედიტი<br>• კვლევითი კომპონენტია - 30 კრედიტი, რომელიც მოიცავს:<br>- სამაგისტრო დისერტაციის დაცვა - 30 კრედიტი.<br><br>პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნა-გაცნობიერებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ფარგლებში გაწერილი ცოდნისა და უნარების სტუდენტისთვის გადაცემაზე. აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტი იძენს სწავლისა და დასკვნის უნარებისთვის, ღირებულებების ფორმირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. თუმცა, პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის მიმართ გვაქვს გარკვეული შენიშვნები:<br>- პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების მხოლოდ 3 დარგის (მენეჯმენტი, მარკეტინგი, საბუღალტრო აღრიცხვა) დისციპლინების სწავლება და არ ითვალისწინებს ფინანსების დარგის არც ძირითადი და არც არჩევითი საგნების სწავლებას;<br>- პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს 9 არჩევით კურსს (ყველა მათგანი 5 კრედიტიანია), თუმცა ეს საგნები ერთმანეთის ალტერნატივაა - სულ პროგრამის ფარგლებში მხოლოდ 2 არჩევი კურსს გადის სტუდენტი (10 კრედიტი). არჩევითი საგნების სიმცირის გარდა, არცერთი მათგანი არ არის ფინანსების დარგიდან;.<br>- პროგრამა არ ითვალისწინებს სტუდენტების საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფას. სასურველია პროგრამას არჩევით კომპონენტად დაემატოს საწარმოო პრაქტიკა, რათა აღნიშნულ შემთხვევებში პროგრამა უზრუნველყოფდეს სტუდენტებს, რომელთაც არ აქვთ პროფესიით მუშაობის გამოცდილება, საჭირო პრაქტიკული უნარებით. მითუმეტეს, რომ პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე უფრო მეტად ვიდრე კვლევითი უნარების გამომუშავებაზე. გარდა ამისა, ვთვლით, რომ უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა უზრუნველყოს სტუდენტები პრაქტიკის კომპონენტით, რადგანაც დამყარებულია რეგიონის წამყვან/წარმატებულ კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობა (აღნიშნული თანამშრომლობა დასტურდება ხელშეკრულებებით და ასევე დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგად). |

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა<br>○ უსდ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;<br>○ ინტერვიუ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსთან;<br>○ ინტრევიუ დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები); |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მისაღწევად აუცილებელია პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდეს ცვლილებები. გაძლიერდეს როგორც სავალდებულო, ისე  არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტები მათში ფინანსების დარგის აუცილებელი დისციპლინების დამატებით;<br>○ გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და დაემატოს საწარმოოს პრაქტიკა |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის |

შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება როგორც კურსის სწავლის შედეგებს, ასევე, პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სილაბუსის შემუშავება ხდება პროგრამაში ჩართული აკადემიური/ მოწვეული პერსონალის მიერ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან მუდმივი კონსულტაციების შედეგად. პროგრამის ზოგად სპეციალობის სავალდებულო მოდულის(80 ECTS) და სპეციალობის არჩევით მოდულებში შემავალი კურსების(10 ECTS) შინაარსი და კრედიტების რაოდენობა, სააუდიტორიო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები ადეკვატურია სწავლის შედეგების მისაღწევად, ხოლო თითოეული კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სილაბუსებში მოცემული კომპონენტები იმყოფებიან ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში, რაც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სილაბუსში მითითებული ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სასწავლო დისციპლინების სავალდებულო ლიტერატურა და დამხამრე მასალები უმეტეს შემთხვევაში დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე (მცირედი გამონაკლისის გარდა) და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა:

ვფიქრობთ, რომ მთლიანობაში გადასახედია პროგრამის კრედიტების განაწილების სისტემა. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების კომპონენტების კრედიტების გადახედვის ხარჯზე შესაძლებელი იქნება პროგრამის როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი საგნების კომპონენტების გაძლიერება.

ასევე აღსანიშნავია, რომ ინფორმატიკის მიმართულებით მითითებულ კურსებში:

1. რადგან პროგრამზე შესაძლებელია ისეთი სტუდენტების მიღება, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული და თეორიული ცოდნა ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროდან, ამიტომ სასწავლო კურსში „ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება (C++/C#)“ ჩაემატოს თემატიკები, რომელიც საინტერესოს გახდის ამ კურსს ინფორმატიკის ბაკალავრებისთვის: გაძლიერდეს პრაქტიკული ამოცანებით კონკრეტული საგნობრივი სფეროდან, რაც ასევე დამსაქმებლების მოთხოვნაც იყო, რაც გამოიკვეთა მათთან ინტერვიუს დროს.
2. სასწავლო კურსში „ინფომაციის დაცვა და უსაფრთხოება“ დაემატოს ასიმეტრიული ალგორითმების განხილვა, რადგანაც კურსში განხილული ციფრული ხელმოწერა დაფუძლებულია ამ ალგორითმებზე.
3. სასწავლო კურსი „ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები“ აგებულია ისეთი სტუდენტებისთვის, ვისაც აქვთ გარკვეული ცოდნა კომპიუტერულ ქსელებში. სასურველია თემატიკა აიგოს ისე, რომ აღნიშნული კურსი საინტერესო და გასაგები იყოს ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტისთვის.
4. ზოგიერთ სილაბუსში: „ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები“, „პროგრამული

| |
|---|
| უზრუნველყოფის ინჟინერია“, „პროგრამული უზრუნველყოფის ეკონომიკა“, „ოპერაციათა კვლევის თანამედროვე მეთოდები“, „ელექტრონული ბიზნესისა და ელექტრონული კომერციის სისტემების მოდელირება და დაპროექტება“, „ბიზნეს-ინგლისური“ განახლდეს ლიტერატურა. ასევე სასწავლო კურსებში დაემატოს ინგლისურენოვანი ლიტერატურაც. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სილაბუსები;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>სასწავლო კურსში „ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება (C++/C#)“ გაძლიერდეს პრაქტიკული ამოცანებით კონკრეტული საგნობრივი სფეროდან.<br>სასწავლო კურსში „ინფომაციის დაცვა და უსაფრთხოება“ დაემატოს ასიმეტრიული ალგორითმები.<br>სასწავლო კურსი „ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები“ თემატიკა განახლდეს ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტის შესაბამისად.<br>განახლდეს სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურა და დაემატოს ინგლისურენოვანი ლიტერატურა |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ჩართულნი არიან ადგილობრივ კვლევით პროექტებში. კერძოდ, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ინტერესების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ უსდ-ში გამართულ ყოველწლიურ კონფერენციებში, წარმოადგინონ თავისი ნამუშევრები პროექტების სახით, მოახდინონ მათი საჯარო დაცვა. სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ აგრეთვე სხვა სასწავლებლებისა და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები არ გადიან პროფესიულ პრაქტიკას. გარდა ამისა, ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის მნიშნელოვანი კვლევითი კომპონენტია სამაგისტრო დისერტაცია (საკვალიფიკაციო ნაშრომი). სამაგისტრო დისერტაციის მომზადება და დაცვა ხდება უსდ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სამაგისტრო დისერტაციის მომზადების ინსტრუქციის საფუძველზე, რომლებშიც გაწერილია კვლევითი კომპონენტების მიზნები, შედეგები, ნაშრომების არქიტექტონიკა და გაფორმების წესი, დაცვისა და შეფასების მექანიზმი.

საკვალიფიკაციო ნაშრომი კვლევითი კომპონენტის ძირითადი ნაწილია. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. საკვალიფიკაციო ნაშრომში ასახული უნდა იყოს ჩატარებული კვლევებით მიღებული შედეგები.

დასრულებულ სამაგისტრო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას პროგრამის ხელმძღვანელი გადასცემს პლაგიატის დამდგენ კომისიას. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი აჩერებს შემდგომ მსვლელობას.

პლაგიატის არარსებობის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი სამაგისტრო დისერტაციას გადასცემს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს სამაგისტრო დისერტაციის შესაბამისობას ინსტრუქციასთან და აძლევს მას ვიზირებას. სამაგისტრო დისერტაცია უბრუნდება პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც გადასცემს რეცენზენტს. რეცენზენტის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში (მაქსიმალური ქულის 50%-ზე ნაკლები) სამაგისტრო დისერტაცია ეგზავნება მეორე რეცენზენტს. მეორე რეცენზენტის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტი გადამუშავებულ დისერტაციას წარმოადგენს მომავალ სემესტრში.

პროგრამას 2015 წლიდან ჰყავს სულ 5 კურსდამთავრებული. ჩვენს მიერ განხილული იქნა მათი სამაგისტრო ნაშრომები. ორ სამაგისტრო ნაშრომში არ იკვეთებოდა კვლევითი კომპონენტი და იყო უფრო მეტად მიმოხილვითი ხასიათის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამაგისტრო დისერტაციის მომზადების ინსტრუქცია სადაც მითითებულია, რომ სამაგისტრო დისერტაციის სტრუქტურაში, კერძოდ შესავალში უნდა აისახოს „...საკვლევი საგანი და გამოყენებული მეთოდები (კვლევის თეორიული და

| |
|---|
| მეთოდოლოგიური საფუძვლები); კვლევის შედეგები.“ ასევე ყველა მასაგისტრო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურა იყო ქართულენოვანი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>◦ სილაბუსები;<br>◦ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>◦ თვითშეფასების ანგარიში;<br>◦ დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები;<br>◦ დამსაქმებლებთან,აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები;<br>◦ სამაგისტრო აბსტრაქტები. |
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდირებულია, უსდ-მ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო დისერტაციის ფარგლებში ჩატარებული კვლევების ხარისხს, გამოყენებულ კვლევის მეთოდებს და ლიტერატურას; |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
| --- |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს. სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამის კომპონენტებში არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) განსაზღვრულია სწავლის შემდეგი ფორმები: ლექცია, სემინარი (ჯგუფში მუშაობა), პრაქტიკული მეცადინეობები, ლაბორატორიული მეცადინეობა, პრაქტიკა, საკურსი სამუშაო/პროექტი, დამოუკიდებელი მუშაობა. ასევე სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მოცემულია სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევების შესწავლა (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი და სხვ. რომლებიც შეესაბამება სასწავლო კურსის მისაღწევ შედეგებს. შესაბამისად, შერჩეული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს როგორც პროგრამის კონკრეტული კომპონენტის, ისე მთელი პროგრამის შედეგების მიღწევას. მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. |
